ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №226313

ნომერი: AR159817

თარიღი : 19.06.2012

გაცემის თარიღი : 21.06.2012

გაცნობის თარიღი : 22.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე თაბუკაშვილი პ/ნ 01010009276
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 4 ბ. 26

ორგანიზაცია:

- HAUSART კოდი: 205039803

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 19 ივნისს № AR159817 განცხადებით მომართეს შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს წარმომადგენელმა დავით გოგიჩაიშვილმა და მოქალაქე ალექსანდრე თაბუკაშვილმა და მოითხოვეს 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებით ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი №01.72.14.007.435) შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური (სავაჭრო-გასართობი) კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 08 ივნისიდან 2012 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, იმის გამო, რომ ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების პუნქტში არ იყო თემატურად მოცემული ჰოლის (553 კვ.მ.), პასაჟის (20521 კვ.მ.) და საგამოფენო ფართობის (667 კვ.მ.) მისათითებელი ქვეპუნქტები, მათ მიერ აღნიშნული ფართობები მითითებული იქნა განმარტებით ბარათში, რის გამოც ვერ მოხდა აღნიშნული ფართების ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 5 ივნისის №198572 ბრძანებაში ასახვა.
სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაადგინა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ვინაიდან, საერთო ფართის ჯამი მოიცავს ჰოლის (553 კვ.მ.), პასაჟის (20521 კვ.მ.) და საგამოფენო ფართობის (667 კვ.მ.) ფართებსაც და საჭიროა მოხდეს ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში მათი ასახვა.
ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების განხორციელება.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
- . ჰოლის ფართობი 553 კვ.მ.
- . პასაჟის ფართობი 20521 კვ.მ.
- . საგამოფენოს ფართობი 667 კვ.მ
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 5890.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 617582.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 5358.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 66726.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 312186.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 4575 კვ.ვ. კ3=0.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 15369.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 39.89
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 42692.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 81384.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 929768.0
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 126356 კვ.მ. კ2=2,9
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 27169.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 206783.0

- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 9748.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 20.23
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 567.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 60.13
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 27169 კვ.მ. კ1=0,6

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.